



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უწყვეტი განათლების ცენტრის შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და საქმიანობის სფერო

1. ცენტრის მიზნებია :

ა) ქართულ-აფხაზური საკითხების შემსწავლელი აკადემიური ფორმატის შექმნა, ქართველ და აფხაზ სტუდენტებს, მკვლევარებს შორის სოციალური, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ბ) დევნილი მოსახლეობისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირების განათლების ხელშეწყობა.

გ) ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემატიკის შესწავლა და კვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით.

დ) სასწავლო უნივერსიტეტის „მესამე მისიის“ ფარგლებში, უწყვეტი განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნების ხელშეწყობის ხედვით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი ხელშეწყობის პროექტების განხორციელება (საგანმანათლებლო, სოციალური).

ე) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირ სტუდენტთა წვდომა საერთაშორისო გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვა შესაძლებლობებზე.

ვ) კურიკულუმს გარე აქტივობების განხორციელება (ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის სკოლები ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორთა მონაწილეობით).

ზ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების და საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით ზუგდიდში მცხოვრები სტუდენტების, მკვლევარების, მეცნიერების ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, დაახლოება აკადემიურ/სამეცნიერო განზომილებაში, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს შერიგების პროცესის მიმდინარეობას, მათი კვლევითი და სამეცნიერო მიმართულებით თანამშრომლობას.

თ) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტობის ჩართვა აფხაზ თანატოლებთან კულტურულ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა სახის კომუნიკაციაში. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ ამ მიმართულებით ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება.

ი) აფხაზეთში სკოლადაძმავრებული და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული სტუდენტებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურასა და ისტორიაში, აგრეთვე სტუდენტების შერჩევით სხვა საუნივერსიტეტო დისციპლინებში დამატებითი მეცადინეობების ჩატარების ორგანიზება.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

2. კვლევითი ცენტრის საქმიანობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სოციალური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული კონტექსტის შესწავლისკენ იქნება მიმართული.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი,
2. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცენტრის უფროსი, რომელიც:
 1. წარმართავს ცენტრის მუშაობას;
 2. განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
 3. წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 4. ახორციელებს/უზრუნველყოფს ამ დებულებით განსაზღვრული ყველა ფუნქციის შესრულებას;
 5. ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.